

დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №14 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის №138 ბრძანებით, 2020 წლის 17 ნოემბრის №99 ბრძანებით, 2021 წლის 27 იანვრის №13 ბრძანებით, 2021 წლის 24 მარტის №38 ბრძანებით, 2021 წლის 17 მაისის №78 ბრძანებით, 2021 წლის 29 ოქტომბრის №169 ბრძანებით, 2022 წლის 4 თებერვლის №25 ბრძანებითა და 2023 წლის 6 იანვრის №18 ბრძანებით

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების,

დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების

შეტანის და გაუქმების პროცედურები

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	3
მუხლი 2. პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცედურები.....	3
მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობა, სტრუქტურა და კომპონენტები	6
მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და ცვლილებების შეტანა.....	14
მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა	16
დანართი #1 - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების სქემა.....	19
დანართი #2 - საგანმანათლებლო პროგრამის ფორმა.....	20
<i>საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #1 - პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა</i>	<i>23</i>
<i>საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #2 - პროგრამის სწავლის შედეგების რუკა</i>	<i>24</i>
<i>საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #3 - სწავლება-სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა.....</i>	<i>25</i>
<i>საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #4 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება.....</i>	<i>26</i>
<i>საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #5 - პროგრამის სასწავლო გეგმა</i>	<i>27</i>
<i>საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #6 - პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/ მოწვეული პერსონალი</i>	<i>29</i>
დანართი #3 - სილაბუსის ფორმა.....	30
დანართი #4 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის ფორმა	32
დანართი #5 - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ციკლი	34

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების პროცედურებს. ასევე, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შემდგომი სწავლის უზრუნველყოფის მექანიზმებს;
2. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება ურთიერთანამშრომლობითი პროცესია და მასში მონაწილეობს ყველა ის მხარე (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და სხვ.), რომელიც უზრუნველყოფს შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას.
3. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების პროცესების ეფექტურად განხორციელების მიზნით უნივერსიტეტში იქმნება პროგრამის/პროგრამების კომიტეტი/კომიტეტები.

მუხლი 2. პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცედურები

1. საგანმანათლებლო პროგრამა არის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო (სასწავლო კურსი, მოდული, პრაქტიკა, პროექტი, საბაკალავრო ნაშრომი და ა.შ.) და კვლევითი კომპონენტის შესაბამისი კრედიტები, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;
2. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
 - ა) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ფარგლებში განისაზღვრება პროგრამის აქტუალობა, საჭიროება და აუცილებელი რესურსები (პროგრამის აქტუალობისა და საჭიროების დადგენა ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და პროგრამის მოთხოვნადობის ანალიზის საფუძველზე). პროგრამის შემუშავების ინიცირება ხდება ფაკულტეტის საბჭოზე, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ მზადდება ბაზრის კვლევისა და პროგრამის მოთხოვნადობის შესახებ ანგარიში, ასევე, ანგარიში პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შესახებ. ბაზრის კვლევისა და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შესახებ ანგარიში დეკანის მიერ განსახილველად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით მმართველ საბჭოს. მმართველი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის დაწყების შესახებ.
 - ბ) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის/თანახემძღვანელ(ებ)ის განსაზღვრა და პროგრამის კომიტეტის შექმნა;
 - გ) მუშაობის პროცესში ჩართული მხარეების განსაზღვრა;
 - დ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, წავლის შედეგების ჩამოყალიბება და სასწავლო გეგმის შედგენა;

- ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო გეგმის დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა;
- ვ) უკუკავშირის მიღება და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და კომიტეტის მიერ შედეგების განხილვა;
- ზ) მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის მოდიფიცირება;
- თ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ შესაბამისი კომპონენტების სილაბუსების შემუშავება;
- ი) კომიტეტის წევრების მიერ სილაბუსების გადახედვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით და საჭიროების შემთხვევაში სილაბუსის ავტორთან შეთანხმებით გარკვეული ცვლილებების შეტანა;
- კ) პროგრამის განხილვა ფაკულტეტის საბჭოზე. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების მიხედვით ცვლილებების შეტანა (საჭიროების შემთხვევაში);
- ლ) საგანმანათლებლო პროგრამის წარდგენა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დასკვნის მიხედვით ცვლილებების შეტანა (საჭიროების შემთხვევაში);
- მ) პროგრამის წარდგენა მმართველ საბჭოზე დასამტკიცებლად (იხ. წინამდებარე დოკუმენტის დანართი #1 - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების სქემა).
3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული მხარეების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება პროგრამის სპეციფიკა;
4. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეებია:
- ა) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- ბ) ადმინისტრაციული პერსონალი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი, ფინანსური სამსახური, და სხვ.;
- გ) პოტენციური დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები;
- დ) ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის სტუდენტები (შესაბამისი მიმართულების, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში მომიჯნავე სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამებიდან), სადაც უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამა. შესაძლებელია სხვა უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამის სტუდენტების მოწვევაც;
- ე) შესაბამისი მიმართულების, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მომიჯნავე სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები, შესაძლებელია სხვა უნივერსიტეტის

ანალოგიური პროგრამის კურსდამთავრებულების მოწვევაც;

5. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას კოორდინაციას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი;

6. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირი, რომელსაც აქვს პროგრამის განვითარების ხედვა, გამოირჩევა მაღალი დარგობრივი და მენეჯერული კომპეტენციით. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ხოლო თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი;

7. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციაა პროგრამის შემუშავების კოორდინაცია, განხორციელების ხელშეწყობა, განვითარება და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავს პროგრამის მუდმივ განვითარებაზე, ასრულებს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს;

8. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, პასუხისმგებელია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაზე;

9. საგანმანათლებლო პროგრამას პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომლებზეც თანაბრად ნაწილდება პასუხისმგებლობა;

10. დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ან პროგრამის ხელმძღვანელობაზე წერილობითი უარის თქმის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო განიხილავს აღნიშნულ საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას ახალი პროგრამის ხელმძღვანელის განსაზღვრის თაობაზე, დადგენილი წესის შესაბამისად.

11. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირები ხელმძღვანელობენ პროგრამის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანი შემდეგი დოკუმენტებით:

ა) 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, რომელიც აღწერს უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სწავლის შედეგებს; ამავე ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, რომელიც განსაზღვრავს სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელ კვალიფიკაციას;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“;

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“;

ე) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) უმაღლესი განათლების სფეროში არსებული სხვა ნორმატიული აქტები და საერთაშორისო დოკუმენტაციები/კონვენციები;

ზ) უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტები და ინსტრუქციები.

12. საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პირები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავენ პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს უნივერსიტეტის მისიიდან. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინება.

13. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების მიზანი და სწავლის შედეგები შესაბამისობაში უნდა იყოს კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებთან, ასევე, დარგობრივ მახასიათებელთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

14. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შემუშავების პროცესში ხდება თითოეული კომპონენტების მოცულობის განსაზღვრა, მისანიჭებელი კრედიტის დადგენა საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განსაზღვრული საათების შესაბამისად, სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების განსაზღვრა. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სილაბუსის შემუშავება ასევე ითვალისწინებს სასწავლო კურსის დაძლევისთვის აუცილებელი წინაპირობის განსაზღვრას.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობა, სტრუქტურა და კომპონენტები

1. უმაღლესი განათლების საფეხურების ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების მოცულობა შემდეგია:

ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა). ბ) სამედიცინო და სტომატოლოგიური განათლება მიიღება ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით, რომელიც სწავლის შედეგებით უთანაბრდება მეორე საფეხურს. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა არის 360-კრედიტიანი, ხოლო სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა – 300-კრედიტიანი.

გ) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა).

დ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით შეიმუშაოს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს, ან/და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს.

3. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია აგებული

იყოს შემდეგი პრინციპით:

ა) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები;

ბ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით), დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები და თავისუფალი კომპონენტები;

გ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები.

4. საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია მხოლოდ იმ დამატებითი პროგრამის/პროგრამების კომბინირება, რომლის შესაბამისი სწავლის სფეროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკვე ხორციელდება ავტორიზებულ ან აკრედიტებულ რეჟიმში.

5. თავისუფალი კომპონენტი მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ ან/და უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის გაფართოების მიზნით.

6. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით. დამატებითი პროგრამა და თავისუფალი კომპონენტები ასევე, უნდა მოიცავდეს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებს/საგნებს/მოდულებს.

7. უმაღლესი განათლების პირველი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია ითვალისწინებს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, ხოლო უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში – არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს.

8. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისათვის. რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავების უზრუნველყოფის მიზნით, რეგულირებადი საგანმანათლებლო

პროგრამების სტრუქტურა განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით.

9. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტსა და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი). სასურველია, სამაგისტრო პროგრამა შედგებოდეს პრაქტიკული კომპონენტისგანაც. საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის არსებობა კონკრეტულ შემთხვევებში რეგულირდება უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით.

10. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტსა და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს (დისერტაცია ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი).

11. კვალიფიკაცია – სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევიტ და დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომით; მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმირება ხდება შემდეგნაირად:

ა) უმაღლეს განათლებაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება მოიცავს უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამის ზოგად აღმნიშვნელს, კვალიფიკაციისა და დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს დასახელებას.

ბ) ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაციების ზოგადი აღმნიშვნელებია:

ბაკალავრიატში	მაგისტრატურაში	დოქტორანტურაში
ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი Bachelor of Arts /BA	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი Master of Arts /MA	დოქტორი PhD/ Doctor
მეცნიერების ბაკალავრი Bachelor of Science /BSc	მეცნიერების მაგისტრი Master of Science /MSc	
სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი Bachelor of Music /BMus	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი Master of Music /MMus	
ხელოვნების ბაკალავრი Bachelor of Fine Arts/ BFA	ხელოვნების მაგისტრი Master of Fine Arts / MFA	
ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი Bachelor of Business Administration/BBA	ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი Master of Business Administration /MBA	
ინჟინერიის ბაკალავრი Bachelor of Engineering /BEng	ინჟინერიის მაგისტრი Master of Engineering/MEng	
ბაკალავრი Bachelor	მაგისტრი Master	

გ) ინტერდისციპლინური დეტალური სფეროს შესაბამისი კვალიფიკაციების მინიჭება ხორციელდება იმ

ვიწრო სფეროდან, რომლის სწავლის შედეგიც დომინირებს შესაბამის საგანკვალიფიკაციის სწავლის სფერო აისახება დიპლომის დანართში.

დ) კვალიფიკაციის სწავლის სფერო აისახება დიპლომის დანართში.

ე) კლასიფიკატორის დეტალური სფეროებში განთავსებულ სწავლის სფეროებში ფრჩხილებში არსებული მითითებები/ ტერმინები არ აისახება კვალიფიკაციის სახელწოდებაში.

12. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განისაზღვრება შესაბამის საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის დონე:

ა) ცოდნა და გაცნობიერება (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი);

ბ) უნარი (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა);

გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება).

13. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით, უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, ხორციელდება ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება. საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგები აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით;

14. უმაღლესი განათლების საფეხურები, სწავლის შედეგების მიხედვით, აღწერილია იერარქიულად. უმაღლესი განათლების ყოველი მომდევნო საფეხური გულისხმობს წინა საფეხურზე მიღებული სწავლის შედეგების საფუძველზე დამატებითი სწავლის შედეგების მიღწევას;

15. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი უნდა ითვალისწინებდეს კურსდამთავრებულისთვის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერით დადგენილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებას, პროგრამის მიზანი შესაბამისობაში უნდა იყოს უნივერსიტეტის მისიასთან, ნათლად იყოს ჩამოყალიბებული და ითვალისწინებდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და მიმართული უნდა იყოს კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე.

16. სწავლების ენა:

ა) უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის სხვა ენაზე სწავლება, გარდა ცალკეული სასწავლო კურსებისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან;

გ) პროგრამის ფარგლებში დასაშვებია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის უცხო ენაზე შეთავაზება უცხოენოვანი სავალდებულო ლიტერატურის მითითებით ან ქართულენოვანი კურსის შეთავაზება ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურის გამოყენებით, რომელიც

მოითხოვს ინგლისური ენის ფლობის შესაბამისი კომპეტენციის დადასტურებას (წინაპირობის განსაზღვრით).

17. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა გამოიხატება შესაბამისი სემესტრებისა და წლების მითითებით.

18. სასწავლო კურსების სწავლების თავისებურებიდან გამომდინარე შესაძლებელია მათი სწავლება განხორციელდეს კურსის ფორმატით და სასწავლო პროცესის მიმდინარეობა აისახება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

19. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო გეგმის შედგენა მოიცავს მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, რომელიც კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად გადის სწავლის შედეგზე (ძირითადი სწავლის შედეგების მისაღწევი სასწავლო კურსები, სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და სხვ.);

20. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ა) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (იხ. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი). საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების დამატებითი წინაპირობები განისაზღვრება კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

ბ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უნდა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

21. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები/აქტივობები:

ა) პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლება-სწავლის ის მეთოდები/აქტივობები, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს მიაღწიოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს.

ბ) სწავლების პროცესში კონკრეტული საკითხის შესწავლა შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდების/აქტივობების ერთობლიობით. სასწავლო კურსის ხელმძღვანელი თავად განსაზღვრავს სწავლების მეთოდებსა და აქტივობებს.

22. საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

ა) საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა დგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“. იხ. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი).

ბ) სწავლის შედეგების შეფასების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკას და მოიცავდეს შეფასების ადეკვატურ კომპონენტებსა და მეთოდებს.

23. საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილია კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

24. საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილია კურსდამთავრებულის შესაძლო დასაქმების სფერო.

25. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, საჭიროების შემთხვევაში უნდა მიეთითოს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ტექნიკური ბაზის შესახებ ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების გამომუშავების ხელშეწყობისთვის.

26. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;
- ბ) დეტალური სფეროს დასახელება და კოდი;
- გ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- დ) უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური;
- ე) სწავლების ენა;
- ვ) საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- ზ) საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
- თ) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი/თანახელმძღვანელ(ებ)ი;
- ი) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- კ) საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა;
- ლ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი;
- მ) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები;
- ნ) სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები;
- ო) საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა;
- პ) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
- ჟ) შესაძლო დასაქმების სფერო;
- რ) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- ს) საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა (საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #1);
- ტ) სწავლის შედეგების რუკა (საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #2);
- უ) სწავლება-სწავლის მეთოდების/აქტივობების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა (საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #3);
- ფ) სწავლის შედეგების შეფასება (საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #4), (პროგრამის სპეციფიკის

გათალისწინებით დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ მეთოდად გამოიყენება მხოლოდ აკადემიური მოსწრების ანალიზი, შესაბამისად, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არ ხდება დანართი #4 -ის შემუშავება);

ქ) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა (საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #5);

ღ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი (საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #6);

ყ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი (იხ. წინამდებარე დოკუმენტის დანართი #2 - საგანმანათლებლო პროგრამების ფორმა).

27. საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის პროგრამის შემდეგი დანართები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა (საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #1), რომლითაც უნდა განისაზღვროს და დადასტურდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #2), რომლითაც უნდა განისაზღვროს და დადასტურდეს პროგრამის სავალდებულო კომპონენტებით პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა;

გ) სწავლება-სწავლის მეთოდების/აქტივობების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა (საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #3), რომლითაც უნდა განისაზღვროს და დადასტურდეს პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდებით / აქტივობებით პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება (საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #4), (დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის გარდა), რომლითაც უნდა განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის შეფასების ინდიკატორები და შეფასების დონეები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების, მეთოდები, პროცესი, შეფასების საყურადღებო შედეგები და შედეგების გამოყენება (რეაგირების გზები) განისაზღვრება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად (იხ. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია);

ე) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა (საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #5), რომლითაც უნდა განისაზღვროს პროგრამის ყველა კომპონენტი, მათი თანმიმდევრობა, კრედიტების მოცულობა და შესწავლის წინაპირობები;

ვ) საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიურ და მოწვეული პერსონალის ცხრილი (საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #6), რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას

პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, მათი კვალიფიკაციისა და სტატუსის მითითებით; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში შესაძლებელია ჩართული იყოს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება

პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით.

28. საგანმანათლებლო პროგრამას თან უნდა ახლდეს შემუშავებული ნიმუშის შესაბამისად შედგენილი სილაბუსები, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ინფორმაციას:

- ა) სასწავლო კურსის სახელწოდება;
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამა;
- გ) ფაკულტეტი;
- დ) სწავლების საფეხური;
- ე) სწავლების სემესტრი;
- ვ) სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი/ლექტორები (სახელი, გვარი, უნივერსიტეტში დაკავებული პოზიცია, საკონტაქტო ინფორმაცია, ინფორმაცია საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ);
- ზ) სასწავლო კურსის სტატუსი
- თ) სასწავლო კურსის მიზანი;
- ი) კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება;
- კ) დაშვების წინაპირობები;
- ლ) სასწავლო კურსის სწავლის შედეგები;
- მ) სასწავლო კურსის შინაარსი;
- ნ) სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები;
- ო) შეფასების სისტემა, შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები;
- პ) სავალდებულო ლიტერატურა;
- ჟ) დამხმარე ლიტერატურა (არსებობის შემთხვევაში);
- რ) ადმინისტრაციული შენიშვნები (იხ. წინამდებარე დოკუმენტის დანართი #3 - სილაბუსის ფორმა).

29. საგანმანათლებლო პროგრამას დამტკიცების ეტაპზე თან ერთვის შემდეგი ანგარიშები და დოკუმენტაცია:

- ა) ბაზრის კვლევა (ბაზრის მოთხოვნების, პროგრამის მოთხოვნადობის შესახებ ანგარიში);
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი და ანალიზის შედეგების გამოყენების ანგარიში;
- გ) დაინტერესებული მხარეების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და ანალიზი, ანალიზის შედეგების გამოყენების ანგარიშ(ებ)ი;
- დ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ე) პრაქტიკის კომპონენტის (არსებობის შემთხვევაში) განხორციელების შესაძლებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან);

ვ) ფაკულტეტის ბიუჯეტი;

ზ) პროგრამის დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შეფასება (გარე შეფასება);

თ) საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობების არსებობის დამატასტურებელი დოკუმენტაცია;

ი) პროგრამის შემუშავების/განვითარების მიზნით შექმნილი კომიტეტის წევრების მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სხდომის ოქმები).

30. შემუშავებული პროგრამა განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, გადაწყვეტილება პროგრამის შემდგომ ეტაპზე წარდგენის შესახებ ფორმდება ოქმის სახით.

31. პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას საუნივერსიტეტო და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან, რაც ფორმდება დასკვნის სახით (იხ. წინამდებარე დოკუმენტის დანართი #4 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის ფორმა);

32. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უარყოფითი დასკვნის მომზადების შემთხვევაში, პროგრამა, დასკვნის შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად გადაეცემა პროგრამის ხელმძღვანელს / ხელმძღვანელებს და კომიტეტს, ხოლო დადებითი დასკვნის შემთხვევაში, პროგრამა განსახილველად გადაეცემა მმართველ საბჭოს.

33. მმართველი საბჭო განიხილავს პროგრამას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში/მიზანშეწონილობის შემთხვევაში ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამას.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და ცვლილებების შეტანა

1. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაზე პასუხისმგებელი მხარეები არიან: პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის კომიტეტი, ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შესაბამისად, პროგრამაში ცვლილებების განხორციელების ინიციატორი შესაძლებელია იყოს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაზე პასუხისმგებელი ნებისმიერი ზემოაღნიშნული მხარე.

2. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და მასში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საფუძველი შესაძლებელია იყოს:

ა) დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები;

ბ) პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები;

გ) საკანონმდებლო ცვლილებები.

3. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა / პროგრამის შეფასება პირდაპირი (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 დანართის შესაბამისად) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით;

ბ) მონაცემების დამუშავება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი;

გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელებისა და პროგრამის კომიტეტის მიერ;

